გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2017-2018 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენის, მიმართვიანობის გაზრდის, მსხვერპლთა დაცვის პროგრამა. ქალების გაძლიერებაზე მუშაობა.

2. **თემატიკა:**

   გენდერული თანასწორობა

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

პრაქტიკის ინიციატორი - გენდერული საბჭო ლაგოდეხში- გენდერული საბჭოს წევრი სალომე ღონღაძე 599 173701

განაცხადის შემვსები- სოფიკო გოგიშვილი, მერიის ტურიზმის განვითარებისა და საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობის სპეციალისტი. 593285676 sophygogishvili@yahoo.com

4. **პრაქტიკის/ინციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;

გენდერული უთანასწორობა საქართველოში დღემდე გამოწვევად რჩება. გენდერული უთანასწორობის შედეგია ოჯახში ძალადობა და გახშირებული ქალთა მკვლელობები. 2018 წელს კახეთში ოჯახური დანაშაულის 300 მდე შემთხვევა დაფიქსირდა. სულ საქართველოს მასშტაბით კი 5522 შემაკავებელი ორდერი გამოიცა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის თანახმად საქართველოში ყოველი 7 ქალიდან 1 მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი[1] შესაბამისად, გაზრდილი მიმართვიანობის მიუხედავად, დიდია იმ ქალთა რიცხვი, რომელიც ჯერ კიდევ არ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს. კახეთის რეგიონში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ცნობიერების დაბალი დონე აქტუალური პრობლემაა. მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლი ქალების პრობლემა, როდესაც მოძალადის სახლიდან წამოსვლის შემთხვევაში ისინი უსახლკაროდ რჩებიან. საცხოვრებლის არქონა ხშირად აიძულებთ მსხვერპლებს დარჩნენ მოძალადესთან და აიტანონ ფიზიკური თუ სხვა ტიპის ძალადობა.

[1] http://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2018/03/national-study-on-violence-against-women-in-georgia-2017

- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;

  წარსულში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არ არსებობდა გენდერული საბჭო, რომელიც ქალთა საკითხებით დაინტერესდებოდა. ქალთა საკითხებზე მსჯელობა ხდებოდა მერის ან საკრებულოს ინიციატივით. თუმცა ქალთა საკითხების სპეციალური ცოდნა ადგილობრივ ხელისუფლებას ნაკლებად გააჩნდა. აღნიშნვნის ღირსია, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ძალადობის მსხვერპლ ქალებს ადრეც უზრუნველყოფდა საცხოვრებლით, თუმცა ამისთვის არ არსებობდა სპეციალური ბიუჯეტი და თანხების გამოყოფა ბიუჯეტის ზოგადი მუხლიდან- „უსახლკაროებისთვის გამოყოფილი თანხა“ ხდებოდა.
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - არსებულ გამოწვევაზე პასუხი გახდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭო 2018 წლის 2 თებერვალს შეიქმნა და ამავე დღეს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება. საბჭოს ძირითადი ამოცანაა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გენდერული ანალიზი და გენდერული თანასწორობის მისაღწევად ღონისძიებების დაგეგმვა და შემუშავება. ამჟამად მზადდება ტრენერთა ტრენინგი საბჭოს წევრებისთვის. ტრენინგის მსმენელები ტრენინგების შემდეგ თვითონ შეძლებენ ჩაუტარონ მოსახლეობს ტრენინგები და აამაღლონ ცნობიერება გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებით. გენდერული თანასწორობის საბჭომ მოამზადა გეგმა, რომელიც გენდერული საბჭოს ინსტიტუციურ გაძლიერებას, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ფორმირებას, განათლების, ცნობიერების ამაღლებისა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებს მოიცავს.

  მნიშვნელოვანია რომ დღეისთვის უკვე არსებობს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი, განსაკუთრებით კი ხაზგასასმელია ძალადობის მსხვერპლი ქალების საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის გამოყოფოლი ბიუჯეტი (5000 ლარის ოდენობით). ბიუჯეტის მე-20 მუხლი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. პროგრამული კოდი 06 00

  ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისთვის არასამთავრობო ორგანიზაციამ მოამზადა კვლევა, რომელიც განსაზღვრავს ლაგოდეხის თემში ბავშვიანი ოჯახების კეთილდღეობის სტრატეგიას. იგი იკვლევს არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებს და სახავს იმ სტრატეგიას და ნაბიჯებს თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ბავშვთა კეთილდღეობა თემში. კვლევაში განხილულია ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემები.

  საქართველოს მთავრობის 437- დადგენილების (რეფერირების პროცედურა) შესაბამისად მომზადებულია სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც მერიის სამსახურებს და მერის წარმომადგენლებს ავალდებულებს ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში მიმართონ შესაბამის სამსახურებს.

მერის წარმომადგენლებისთვის და სპეციალისტებისთვის (15 ადმინისტრაციული ერთეული) ჩატარდა ტრენინგი გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.
ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის ამზადებს ტრენერთა ტრენინგს გენდერული თანსწორობის საბჭოს წევრებისთვის, საბჭოს წევრები კი შემდგომში ჩაატარებენ შეხვედრებს მოსახლეობასთან და მოახდენენ მუნიციპალიტეტის მცხოვრებლების ცნობიერების ამაღლებას.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

ფართობი - 890, 2 კმ²

მოსახლეობა - 41, 678 ათასი ადაამიანი

ადმინისტრაციული ცენტრი - ქალაქი ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით — ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით — დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით საზღვრავს სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფართობია 890, 2 კმ². ტერიტორიის 38 979 ჰა მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რაც შეადგენს მთლიანი ტერიტორიის 44%-ს. ტყეებს უკავია 41 162 ჰა (46%).

ქალაქი ლაგოდეხი — ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. ქალაქად გამოცხადდა 1962 წელს. მოსახლეობა რაოდენობა 5, 918. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთის ძირში, მდინარე ლაგოდეხისწყლის (მაწიმისწყლის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე, წნორ-ბელაქნის საავტომობილო გზაზე (ქალაქიდან გზატკეცილი გადის ყვარლის მიმართულებითაც). ზღვის დონიდან 435 მ, თბილისიდან 165 კმ .

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 13°ჩ. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 650 მმ-იდან 1080 მმ-მდე. აქაური კლიმატისთვის დამახასიათებელია სეტყვა და გვალვა.

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - საჯარო მოხელეების კვალიფიკაციამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პრაქტიკის განხორციელებაზე. გენდერული საბჭოს წევრები აქტიურად ცდილობენ აღმოფხვრან პირველ რიგში ის ინფორმაციული ვაკუუმი რაც დღეისათვის ქალთა საკითხებზე არსებობს. მუნიციპალიტეტში მანამდე დაგროვებული ცოდნა ქალთა საკითხების მიმართ იყო ნაკლებად სისტემური. გენდერული საბჭოს შექმნის შემდეგ ნელ-ნელა ხდება საკითხებს ცოდნის გაღმრმავება, მხოლოდ შესაბამისი ცოდნის მიღების შემდეგ არის შესაძლებელი პრობლემებთან გამკლავება. მერის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლებამ კი უზრუნველყო ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაც. ძალადობის მსხვერპლი ქალები შიშისა და ტერორის გამო ხშირად ვერ ახერხებენ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან ეშინიათ, რომ მოძალადე ამას გაიგებს და უარესად დასჯის მათ, ხდება ისეც რომ არ აქვთ პოლიციის ნდობა. ადგილობრივ ხელისუფლებასთან დახმარების სათხოვნად მისულები კი უფრო თავისუფლად საუბრობენ საკუთარ პრობლემაზე, მაგალითად როდესაც საცხოვრისისის არ მქონე ქალი, როდესაც მიმართავს მერიის სამსახურებს დახმარების მიღების მიზნით, იგი საუბრობს შესაბამის მიზეზებეც ეს შეიძლება იყოს ძალადობა, ამ შემთხვევაში კი მერიის სამსახური აცნობებს შესაბამის სამსახურებს. შესაბამისად პრაქტიკა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის თავისებურებას, რომ ქალებს უჭირთ ძალადობის თემაზე ხმამაღლა ისაუბრონ სამართალდაცავ ორგანოებთან.
- **გარეშე ფაქტორები** - პრაქტიკა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მდგომარეობას სადაც, გენდერული სტერეოტიპების გამო ქალებს ნაკლებად გადასცემენ უძრავ ქონებას, რის გამოც ძალადობის მსხვერპლ ქალებს წასასვლელი არსად აქვთ, შესაბამისად მერიის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტი ეხმარება ქალებს თამამად გადადგან ნაბიჯი, თავი დააღწიონ ძალადობას.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი; ა) გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნა და დებულების დამტკიცება. ბ) გენდერული თანსწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება. გ) მერის წარმომადგენლებისა და სპეაციალისტებისთვის ტრენინგების ჩატარება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით. დ) გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების ტრენერთა ტრენინგი. ე) ძალადობის მსხვერპლი ქალების საცხოვრებლის უზრუნველყოფა- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 5000 ლარი.**

- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი** (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები). *აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;*

    1. *გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება*
    2. *ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი*
    3. *ტრენერთა ტრენინგის ხარჯთაღრიცხვა*
    4. *რეფერირების დოკუმენტი პროექტის დონეზეა, ამჟამად ვერ გავაზიარებთ ფართო საზოგადოებასთან.*
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**

ჩართული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის“. (მათ ჩაატარეს კვლევა და უზრუნველყვეს ტრენინგების ჩატარება).

გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის** (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) **შესახებ;**

ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა 5 000 ლარი ძალადობის მსხვერპლი ქალების საცხოვრისით უზრუველსაყოფად.

4 დღიანი ტრენინგისთვის გამოყოფილია თანხა 2790 ლარის ოდენობით.

- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გენდერული თანასწორობის საბჭო

ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის

ქალთა საინფორმაციო ცენტრი

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

8. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭოს აქვს შესაბამისი დებულება და მომზადებულია, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა. ბიუჯეტში არსებობს სპეციალური მუხლი ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის საცხოვრისის (ბინის ქირის გადახდა) გამოყოფასთან დაკავშირებით. მოსახლეობაში ამაღლებულია ცნობიერების დონე გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით. დატრენინგებულები არიან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის წარომომადგენლები და სპეციალისტები. მომზადებულია ტრენერთა ტრენინგის მოდული გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის. პრაქტიკის წარმატება გამოიხატება, პირველ რიგში იმ პლატფორმის შექმნით სადაც შესაძლებელია ქალთა საკითხების წამოჭრა, ინსტიტუტი სადაც თავს მოიყრის სპეციალური ცოდნა ქალთა საკითხებთან დაკავშირებით. მომზადდა კადრები, რომლებიც შეძლებენ ქალთა საკითხებზე მუშაობას და ისინი შეძლებენ ამ ცოდნის სხვისთვის გადაცემას, რაც გამოიწვევს ზოგადად მთელ მუნიციპალიტეტში ქალთა საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას. პრაქტიკის წარმატება არის მისი სისტემურობა. პირველ რიგში, გენდერული საბჭოს შექმნა გამოიწვია მუნიციოალიტეტის მმართველობის მიერ დანახულმა საჭიროებამ მეტი ემუშავათ ქალთა საკითხებზე. თუმცა დადგა ცნობიერების დონის პრობლემა. მხოლოდ შესაბამისი ცოდნის დაგროვების შემდეგ გახდა შესაძლებელი შესაბამისი გეგმის შემუშავება და მომზადდა რეფერირების დოკუმენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის საჭიროებებს პასუხობს. მუნიციაპლიტეტში ქალებს ჯერ კიდევ ერიდებათ მიმართონ სამართალდამაც ორგანოებს და საზოგადოება ჯერ კიდევ თვლის ოჯახში ძალადობას ოჯახის საქმედ. რეფერირების დოკუმენტი და მერიის სამსახურების დავალდებულება მიმართონ შესაბამის ორგანოებს პირდაპირ პასუხობს ამ გამოწვევას. მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ გამოწვევას პასუხობს აგრეთვე სპეციალური მუხლი ბიუჯეტში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ბინის ქირის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ რეფერირების დოკუმენტი მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციის ჩართულობის შედეგად, როდესაც მათ წარმოადგინეს საჭიროებების კვლევა და რეფერირების დოკუმენტის მომზადება არ ყოფილა ადგილობირივი ხელისუფლების თვითნებური გადაწყვეტილება. ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილება იყო შეთანხმებული მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. პრაქტიკასთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯაროა და მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს შეუძლია მოიპოვონ იგი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საიტზე.www.lagodekhi.gov.ge .

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

პრაქტიკა არის მდგრადი, რადგან იგი მოიცავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას. პრაქტიკა მოიცავს ტრენერთა ტრენერების მომზადებას, რომლებიც შემდგომში თვითონ გადასცემენ სხვას ინფორმაციას ქალთა საკითხებთან დაკავშირებით. პრაქტიკის მდგრადობას განაპირობებს რეფერირების დოკუმენტი, რომელიც არ არის დროში შეზღუდული და იგი მიღების მომენტიდან დაავალდებულებს მერიის სამსახურებს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაცია გაუზიაროს შესაბამის ორგანოებს.

10. საკრებულოს როლი:
    - პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;

      ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ბინის ქირის ანაზღაურების შესახებ ბიუჯეტის მუხლი დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.
    - საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარესთან და საკრებულოს სოციალური, კულტურული განათლების და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარესთან ;
    - როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ;

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

მომავალში დაგეგმილია ქალთა საკითხებზე ცნობიერების ამაღლება და სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მიმართვიანობის გაზრდას.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია
    1. 2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
    2. გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება.
    3. რეფერირების დოკუმენტი
    4. ტრენინგებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა.

5. მერის წარმომადგენლებთან ჩატარებული ტრენინგის შესახებ ინფორმაციას წარმოგიდგენთ.2018 წლის 20 ნოემბრამდე.
6. გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმას (ცვლილების დოკუმენტი)
7. ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი და კვლევის საბოლოო ანგარიში.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 18 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე bp@nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge